ტოლერანტობა

ნიკოლოზი ერქომაიშვილი

2 აპრილი, 2007

599081515

სსიპ ქალაქ თბილისის N35 საჯარო სკოლა

მე-11 კლასი

nikolozi.erkomaishvili123@gmail.com

სამყაროს მრავალფეროვნება ჩვენი პლანეტის ფუნდამენტური მახასიათებელია, რაც იგრძნობა სხვადასხვა ასპექტში, ბიოლოგიური და კულტურული სიმდიდრიდან ეკოლოგიურ და გეოგრაფიულ განსხვავებებამდე. ეს მრავალფეროვნება იწვევს, როგორც დადებით, ასევე უარყოფით შედეგებს. ერთის მხრივ, შემოაქვს ინოვაციები, ამდიდრებს ჩვენს ცნობიერებას სხვადასხვა კულტურის შესახებ, ქმნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს და ა. შ. მეორე მხრივ, მას შეუძლია გამოიწვიოს კონფლიქტები, გარემოსდაცვითი გამოწვევები, ეკონომიკური უთანასწორობა და სოციალური კლასიფიკაცია.

სიტყვა ტოლერანტობა ლათინური წარმომავლობისაა და შემწყნარებლობას, ატანას ნიშნავს. ეს არის ადამიანის უნარი - აღიაროს, პატივი სცეს ან გაითვალისწინოს სხვა ადამიანის რწმენა, ცხოვრების წესი და ღირებულებები. ასეთი ღირებულებების მქონე ადამიანებს შეუძლიათ მშვიდობიანად იცხოვრონ განსხვავებული კულტურის, რასის, სქესისა და რელიგიის მქონე ადამიანებთან. ტოლერანტობას თავდაპირველად მხოლოდ რელიგიური დატვირთვა ჰქონდა. იგი აღნიშნავდა დომინანტი რელიგიის წარმომადგენელთა მხრიდან სხვა რელიგიათა არსებობის დაშვებასა და პატივისცემას. მეოცე საუკუნიდან ეს მცნება გაფართოვდა, მასში ასევე გაერთიანდა პოლიტიკური და ეთნიკური ჯგუფები, ჰომოსექსუალები და სხვა უმცირესობები.ტოლერანტობა შენგან გასხვავებული ადამიანის პატივისცემა და მისი თანასწორად აღქმაა.

ტოლერანტობის საუკეთესო მაგალითია დავით აღმაშენებლის ეპოქა. მეფემ ქალაქის იმ ნაწილში, რომელშიც მუსლიმები ცხოვრობდნენ, აკრძალა ღორის დაკვლა და ყოველ პარასკევს თავის შვილთან, დემეტრესთან, ერთად დადიოდა მეჩეთში და ისმენდა ყურანის კითხვას. ასევე შესანიშნავი ისტორიული მაგალითია, ალექსანდრე მაკედონელის მიერ დარიოს III სასტიკი დამარცხება, ცოცხლების დატყვევება, თუმცა ტყვეების მიმართ საოცარი პატივისცემა და ღირსეულად მოპყრობა, რადგანაც, მტერიც იმსახურებდა შეწყნარებას.

მაღალი ღირებულებები ყველაზე ხშირად აისახება ხოლმე ლიტერატურაში, რისი ნათელი მაგალითიცაა ვაჟა-ფშაველას ,,ალუდა ქეთელაური''. ალუდა მიმტევებელი და ძლიერი პიროვნებაა, რაც კარგად ჩანს, როდესაც მუცალს ,,ლამაზი ძმა'' უწოდა, აპატია ცხენის მოპარვა, მტრობა და სისხლის აღების ჩვეულება. ლიტერატურული მაგალითებიდან, ,,ჩემი ფავორიტია'' გურამ დოჩანაშვილის ,,სამოსელი პირველის'' ეტლის ეპოზოდი, როდესაც

მიჩინიომ ერთი ადამიანის გამო დანარჩენი თვრამეტი ავაზაკი შეიწყალა და არ გამოასალმა სიცოცხლეს. არ შეიძლება ერთი ბოროტება მეორეთი შეცვალო. ასევე, არაჩვეულებრივი მაგალითია, აკაკი წერეთლის ,,თორნიკე ერისთავი'', რომელშიც მეფე დავით III კურაპალატი, ბიზანტიის თხოვნის შემდეგ, მათ დახმარებას უწევს ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ თბილისში, ერთ უბანში, მართლმადიდებლური ეკლესია, მეჩეთი და სინაგოგაა აშენებული, რის საფუძველზეც არასოდეს მომხდარა კონფლიქტები. „იტალიურ ეზოებში“ კი სხვადასხვა ეროვნების მაცხოვრებლები მეგობრულად თანაცხოვრობენ.

ვფიქრობ, სახელმწიფოოებს შორის ურთიერთ თანაგრძნობისა და თანადგომის კარგი მაგალითია, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, მაშინ, როდესაც რუსული ჯავშანტექნიკის კოლონა საქართველოს დედაქალაქიდან ორმოც კილომეტრში იყო, პოლონეთის პრეზიდენტის - ლეხ კაჩინსკის, უკრაინის პრეზიდენტის - ვიქტორ იუშჩენკოს, ლიეტუვისა და ესტონეთის პრეზიდენტებისა და ლატვიის პრემიერ-მინისტრის ჩამოსვლა თბილისში.

დღევანდელ მსოფლიოში ტოლერანტობა კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება. საუკეთესო მაგალითებია: 13 ივნისს სტიქიური უბედურების შედეგად დატბორილი და გაუბედურეული მზიურის დასასუფთავებლად შეკრებილი საზოგადოება. ასევე, COVID-19-ით გამოწვეული პანდემიისას მოხუცებულებისა და გაჭირვებული ადამიანების დასახმარებლად გაერთიანებული მოხალისეების მიერ მათი საკვებით, მედიკამენტებითა და ჰიგიენური საშუალებებით მომარაგება.

სრულიად ვეთანხმები ცნობილი განმანათლებელი - ვოლტერის მოსაზრებას, რომ: „მე არ ვიზიარებ შენს აზრს, მაგრამ მზად ვარ მოვკვდე იმისთვის, რომ შენ მისი გამოთქმის უფლება გქონდეს''. ვფიქრობ, ძალადობის, აგრესიის, სიძულვილის ენისა და ბულინგის აღმოფხვრის ეფექტური გზაა საზოგადოებისათვის ცნობიერების ამაღლება. ყოველგვარი გამოსვლა ეროვნული, რასობრივი, თუ რელიგიური შუღლის სასარგებლოდ, რაც დისკრიმინაციის, მტრობისა, თუ ძალადობის წაქეზებაა, უნდა აიკრძალოს კანონით და მოხდეს ტოლერანტობის პროპაგანდა. ეს ნიშნავს იმ ფაქტის აღიარებას, რომ ადამიანებს, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შეხედულებით, მდგომარეობით, ფასეულობებით, აქვთ უფლება, იცხოვრონ მშვიდობიანად და იყვნენ უსაფრთხოდ. ტოლერანტობის გარეშე შეუძლებელია მშვიდობა, ხოლო მშვიდობის გარეშე კი - განვითარება და დემოკრატია.